

572  
1982 / 2



ՅՆՈՆՈ № 5, 1982



**ՀԱՅԿԵՐԱՆ**


# სამზარეულო დანის ამბავი

ნანო ანდრონიკაშვილი

ლი ვტრიალებ მის ხელში, ერთხელაც თავგაბებრებულმა ავდექი და თითზე ვუკბინე, სისხლი დავადინე. ისევე მე დამსაჯა იმ გულქვამ! მომისროლა და კუთხეში მიმავლო. გგონიათ დიდხანს დამანება თავი? უჩემოდ როგორ გაძლებს? მალევე მომნახა და განანგრძო ჩემთან ერთად ბზრიალ-ტრიალი.

ქოს დიდი რამის გამკეთებლები იყოთ. აბა ჩემსავით ძელები ჩეხეთ, სორცი დაკუნეთ, სადილის შესაკმაზად მთელ დღეს ხახვი, ნიორი და მწვანილი ჭერი! მაშინ ვნახავდი, რა შვილებიცა ხართ. „ხახვის სუნი ავდისო“... დიდ რამე!

— ნუ მიაქცევ ყურადღებას, მეგობარო, — მამშვიდებენ სადილის კოვზები და



იყო და არა იყო რა, იყო ერთი დანა. უბრალო კი არა, სამზარეულოს დანა. ტარი ხისა ჰქონდა და პირი ფოლადისა, მთელ დღეს გარჯა-შრომაში იყო — ბზრიალებდა, ტრიალებდა, აქეთ სჭრიდა, იქით ფცქენიდა, იმას ფხეკდა, ამას კუნავდა ან კეპავდა; ერთი სიტყვით, არც ამ სახლის დიასახლისი ისვენებდა და არც ამ დანას ასვენებდა.

— აღარ მინდა მუშაობა, დავიღალე, დამანებეთ თავი, — იმხანა საწყალი დანა, მაგრამ ვინ უგდებდა ყურს!

— დიასახლისმა მუშაობით ხომ სიქა გამაცალა, — ჩიოდა დანა, — მომდგება მერე და მხეხავს და მლესავს, მხეხავს და მლესავს. ეს დალოცვილი იმას კი არ ფიქრობს, გვერდები ეტკინება ამდენი ხეხვითო. მეც ვაალმასებუ-

ლვე მიიღევა. დარეცხავს ქვაბ-ჭურჭელს, მილაგებს სამზარეულოს, მეც ერთი-ორს გამკრავს ხელს, გამმენდს და ჩამიძახებს უჯრაში.

— ნელა, შე გაუთლელი! — მიყვირიან უჯრაში მწყობრად ჩალაგებული ჩანგლები.

— გაიწი იქით, ხახვის სუნი ავდის, — ცხვირს იწვევენ გაპრანჭული უჟანგავი დანები.

— აი, თქვე ზარმაცებო, კიდევ რომ ბევრს ლაპარაკობთ!? — ვჯავრობ მე, — მთელ დღეს უსაქმოდ ყრიხართ აქ გამოკეტილები, დიდი რამეა თუ დღეში ერთხელ ან ორჯერ ამოხვალთ, განყოფილ მაგიდაზე თევშების გვერდზე დალაგდებით და, თქმა არ უნდა, ჩემგან დაკუნულსა და დაკეპილს ავღილად მოერევით. თით-

თავიანთთან მითმობენ ადგილს. არც ამით მოსწონთ უკადრისა უჟანგავი დანები, ნეტა რის მაქნისები არიან, პირი ისე დაბლაგვებიათ, ძეხვსაც ვერ გაჭრიანო.

ერთხელ ბავშვებს დავჭირდი. ეზოში ხის ტოტები ჩამომაჭრევიწეს და თოლეს და თაღეს ეს ტოტები. მერე მე იქვე მიმაგდეს, თვითონ კი წავიდნენ. მეც ეს მინდოდა. გადავგორდი და ბალახებში ჩავიძალე.

ატყდა ერთი ალიაქოთი, მეძებენ, როგორ მეძებენ, დიდი და პატარა. დარბიან, მეძახიან, მეფერებიან.

— სად არის მჭრელი დანა? ჩემი მარჯვენა ხელია, მოძებნეთ კარგად, უმიხოდ საილი როგორ გავაკეთო? — ჩივის დიასახლისი, მაგრამ რა მენალვლება, ბალახებში რბილად ჩაფლული, მხარ-



გ უ რ ა მ  
ბ ა ხ ტ ა მ მ

1982 წლის მაისი დიდი ზემის თვეა — 60 წელი შეუსრულდა ჩვენს ქვეყნის პიონერთა ორგანიზაციას. სიტყვა „პიონერი“ ინგლისურად ნიშნავს პირველგამკვლავს, ახალი გზების მკვლავს რაიმე საქმეში. ამიტომ დღევანდელი პიონერები ბავშვთა იმ კომუნისტური გვარუფების წევრებს, რომლებიც 1922 წელს შეიქმნა მოსკოვში.

ვინ არის პიონერი?

პიონერი ის არის, ვინც ვულდამ მზად არის იშრომოს, ისწავლოს და იბრძოდოს სამშობლოს საკეთილდღეოდ, ვინც ცდილობს მიბაძოს ხალხის მონინავე შვილებს, ვინც პატივს სცემს სამშობლოსათვის დაღუპულთა სხოვნას, ვინც პატიოსანია, ბევრით, სიმართლის მოყვარული; ვინც ამხანაგი და ნი-

### ნათელა ღვიფას მინაბაქავთ!

შავი ზღვის პირას არის დიდი და ლამაზი სოფელი ბობოყვათი. სწორედ ბობოყვათში ცხოვრობენ ის ყოჩალი ოქტომბრელები — ნათელა, დათო, გია, ხათუნა, შორენა, თამუნა და სხვები, რომელთა შესახებ უნდა გიამბოთ.

ბობოყვათი გმირთა სოფელიაო — ამბობენ. მართლაც, თვრამეტი სოციალისტური შრომის გმირი აღუზარდა მან მამულს, ხოლო რამდენი შეემატება მათ მომავალ ხუთწლეულებში, ვინ იცის!

ისე კი, რომ კითხობთ ნათელა ჩელებამეს, ერთს ამ გმირთაგან, რომელსაც ეს საპატიო წოდება პიონერობის წლებში მიენიჭა, სოფელში ბევრი გმირი იზრდება. ისეთი გამრჯე, შრომისმოყვარე და თაოსანი ოქტომ-

ბრელები გვყავს, რომ მომავალში ნამდვილად გმირები გახდებიანო, — ამბობს ჩაის ფაბრიკის დირექტორი.

პატარა რომ იყო, აი ამ ოქტომბრელების ხელა, ისიც ასე დარბოდა ზღვის პირას, ისიც ასე კრეფდა ჩაის ფოთოლს, ისიც ასე ანთებდა პიონერულ კოცონს.


ახლა კი გმირია. ხათუნას, გიას, შორენასა და სხვებს სწორედ მან დაუბნია მკერდზე ოქტომბრეობის ვარსკვლავი.

ნათელა ღვიფას მიგბაქავთ! — ამბობენ ოქტომბრელები.

### ფერმის პატარა მამოზრავი

მეცხოველეობის ფერმის თაზე პიონერული ალამი ფრიალებს — ეს კი იმას ნიშნავს, რომ აქ ხშირად დადიან პიონერები.

პირველი ხარხარა



# ახალი ბერიკები იზრლებიან

ნამძღვრულია ოქტომბრელებისათვის და მეგობარია ყველა ქვეყნის ბავშვებისათვის.

პიონერი პირველსა ნიშნავს, მაგრამ პირველთა შორისაც არიან საუკეთესონი — 35 ათასზე მეტ პიონერს აქვს მიღებული ჩვენს ქვეყანაში მთავრობის ჯილდოები, 4-ს — საბჭოთა კავშირის გმირის წოდება, 2-ს — სოციალისტური შრომის გმირის წოდება.

მაგრამ პირველთა შორის საუკეთესო რომ გახდეს ადამიანი, ოქტომბრელობის დროსვე უნდა ცდილობდეს ამას. აი, ასეთ ოქტომბრელებზე, სახელოვან პიონერთა კვალდაკვალ მიმავალ ოქტომბრელებზე გესაუბრებით.

მათთან ერთად ოქტომბრელებიც უვლიან ხბორებს — სანოვაროანი ბოთლებით რძეს ასმევენ. როცა პიონერები ფერმის მუშაკებისათვის კონცერტს მართავენ, ოქტომბრელებიც მონაწილეობენ ამ კონცერტებში — მღერიან ან ლექსებს კითხულობენ; ზაფხულში კი პატარებმა ნამგლებით დიდძალი ბალახი მოთიბეს გზის პირას და ფერდობებზე.

პიონერებთან ერთად ისინიც ასე ამბობენ: ჩვენც ვზრუნავთ, რომ სამშობლოს მეტი ხორცი და რძე ჰქონდესო, და ოჯახებში ქათმებს ზრდიან...


ზახეთში, ტალინსა და შორეულ აღმოსავლეთში. თანატოლები პიონერების დახმარებით გაიცნეს და ახლა ხშირად უგზავნიან მათ ბარათებს. ფოსტალიონსაც უხვად მოაქვს მათთან ნაირფერი კონვერტები. მეგობრები ასე შეთანხმდნენ:

ოქტომბერში მოძმე რესპუბლიკების ფესტივალი ექნებათ — რუსულ და სომხურ სიმღერებს იმღერებენ, უკრაინულ და მოლდავურ ცეკვებს იცეკვებენ, ესტონური და ბელორუსული ნაქარგებით დაამშვენებენ პიონერთა ოთახს.

მეშვიდეკლასელმა ცილამ პატარებს ასწავლა სიმღერა „ძმაო, ძმითა ხარ ძლიერი!“ და ძმობის ზეიმზე ყველა ოქტომბრელი ერთად იმღერებს ამ სიმღერას.

ძ მ ა ო, ძ მ ი თ ა ხ ა რ ძ ლ ი ე რ ი !  
ოქტომბრელებს ბევრი მეგობარი ჰყავთ მოსკოვსა და კიევში, მოლდავეთსა და ყა-

17105



საბავშვო ტიპოგრაფიის გამყარება

# მაისი, მაისი!

კ. გოგიაშვილი  
9 მაისი

დაიკვება,  
დაიქუზა,  
აუღვარდა შვიდფურად სივრცე-  
ანმაურდნენ პატარები,  
დიდმა მთებმაც ბანი მისცეს.

— ეს რა ხდება?  
— ცა გაიხსნა!  
მოდით, ნახეთ  
ყველამ, ყველამ—  
არემარე გაანათა  
გამარჯვების ცისარტყელამ.

## აზერისი ღონისძიება საბავშვო

ყვავილითა ფშვივნი ხმა ისმის,  
ჰაერს შეიგრძნობ გემოთი,  
ღია ფანჯრებში მაისი  
მასპინძელივით შემოდის.  
ანთებენ გარეშემოსა  
დროშების ნიაღვარები,  
და კვლავ, მაისის შემოსვლას  
გვამცნობენ კრემდის ზარები.  
სიმღერა და სიცილი  
სამშობლოს მთიდან ბრამდვი,  
დგას ცისარტყელას ციმციმი,  
ქუზს სამაისო პარადი.  
ეს ღრუბელია ცისფერი,  
თუ იასამნის ტოლია?  
მოდიან, შეხე, სიმღერით  
ანადგაბრდები მოდიან!  
მოაბიჯებენ დალები,  
მოიმღერებენ ნორჩებიც.  
არის შრიადი ბალები,  
არის ფრიადი დროშების.  
გარჯით და შემოქმედებით  
მოაქვთ სიცოცხლის ხალისი,  
მოჰყავთ მშვიდობის მტრედები,  
მოჰყავთ ბრიად მაისი.



## ამ მოთხრობა „ღილის“ კონკურსზე პრემია დაიხსახურა



**ს**ამეზობლო ფიცრული ღოჭე ჩაღმა, და-  
აფრაკდა. ნაწილი აბრიაანთკენ მიიზნიქა,  
ნაწილიც ბუჯანანთკენ.

აბრიას მამამ, ბურძგლათმიანმა ვანუამ  
ბუჯანას მამას უთხრა:

— როდემდე ვუყუროთ! დღე-დღეზე იგ-  
რიალეს ბიჯგებიც ველარა შველის. ქვა,  
ქვიშა და ბუჭონის სარები ბლომადა მაქვს,  
ცემენტს რომ იშოვიდე, მუხლამდე ყორეს  
ამოვიყვანდით, ზემოთ სარებზე მავთულის  
ბადე გავჭიმოთ და ეგ იქნება.

— ვიშოვი! — დაბეჯითებით თქვა თედომ  
და კობხად შეკრეჭილ უღვაშებზე ხელი გა-  
დაისვა.

თედოს და ვანუას ძველი მტრობა ჰქონ-  
დათ. ხეირიან საღამასაც არ აძლევდნენ ერთ-  
მანეთს, აუცილებელ რამეზე თუ გამოელა-  
პარაკებოდნენ ხოლმე.

ბაღებში კი მტრობა ადვილად ვერ იკი-  
დებდა ფეხს. სკოლაშიც მეგობრობდნენ და  
მეზობლობაშიც. ერთიმეორის კბილანი იყ-  
ვნენ და პირველ კლასში ერთად მივიდნენ,  
ამ გაზაფხულზე კი აგერ მესამე კლასში გა-  
დავიდნენ ქების სიგელებითა და კაი ბიჭო-  
ბით.

აბრიაამ და ბუჯანამ ყური მოჰკრეს თუ  
არა, სამეზობლო ღოჭე უნდა აშენდესო, გა-  
იხარეს — უფროსებს ამოუდგებოდნენ მხარ-  
ში და ამ გაგანა ზაფხულს მოსაწყენად  
აღარ ეცლებოდათ.

ბუჯანას მამამ ორ კვირაში იშოვნა ცე-  
მენტი და ამოყვანის დღედ შაბათი დათქვეს.

მშენებლებმა ალიონზე მოიყარეს თავი. ვა-  
ნუასთან ოჯახიდან ცალკე გასული ძმა და  
დეიდაშვილი მას-ულიყვენ დასახმარებ-  
ლად, თედოსთან — მეგობრები. აბრია და

ბუჯანაც დაბარებულებივით გამოცხადნენ.

— მობავალ მშენებლებს ჩემი საღამო!  
— შესძახა ვანუას ძმამ სანდრო ძიამ და  
ორივეს ვაჟკაცურად ჩამოართვა ხელი.

ყმანვილებს ღმიილის შუქი დაეფინათ  
ნამძინარევე სახეზე, ხუმრობა ხომ არ იყო,  
უფროსებმა მარაქაში გარიეს!

მშენებლებმა ტანსაცმელი გამოიცვალეს,  
მკლავები დაიკაპინეს და საქმეს შუედგნენ:  
ძველი ღოჭე სახელდახელოდ მიფშვნიტ-მო-  
ფშვნიტეს, ძირდამპალი ბოძები დააძრეს და  
საძირკვლის გასაჭრელად ბანარი გააბეს.  
თედომ თავისი მეგობრებითურთ ქუჩის  
მხრიდან დაიწყო გაჭრა, ვანუამ ნათესაო-  
ბით — ღელის მხრიდან. აბრია და ბუჯანა  
ძველ ფიცრებს დაერივნენ, სადაც უფრო-  
სებმა მიანიშნეს, იქ მიაქუჩეს კობხად, და  
საძირკვლის გამჭრელებს ფეხიდან გაარი-  
დეს. ციბრუტივით ტრიალებდნენ, თან სამ-  
ზარეულოში მოფუსფუსე დედებიც არ ავი-  
წყდებოდათ, იმათაც დროდადრო ხელს ნა-  
აშველებდნენ — ხან წყალს მიუზიდავდნენ,  
ხანაც ფიჩხს.

მშენებლებმა ღობის საძირკველი ჩათხა-  
რეს, კობხად ამოჭრეს და ამოასუფთავეს, და  
ბღვრილია მზეც ამოსცდა კაკკასიონის კენ-  
წეროებს.

ახლა კი სულის მოსაბრუნებლად ჩაიშუხ-  
ლეს და ცივი წყლით გაიგრილეს ოფლიანი სა-  
ხეები.

— ბიჭები სად არიან? — მოინაკლისა ვა-  
ნუამ.

— ახლახან აქ არ იყვნენ?

ამ დროს ღელის მხრიდან აბრია და ბუჯანა  
გამოჩნდნენ, გულაბი მსხლით თავმომბმულ  
კალათას მოაკიმციბდნენ. დალოლზე,  
პირგამშრალზე ყველას ეამა ტკბილი და  
სურნელოვანი ნაყოფი.

— მსალო კი არა თაფლია, თაფლი! —  
ამბობდა სანდრო ძია.

— ოქრობიჭების ხელი ურევია, თორემ  
გულაბი ხომ მეც მიდგა, სად იმის გემო, სად  
ამისი! — უკვირდა თედოს ერთ მეგობარს.  
ბიჭები ჭურმის ხის ძირში მიმსხდარიყვნენ.  
ქებას იფერებდნენ და დიდკაცურად, დაგე-  
მოვნებით შეეძცოდნენ დაშაქრულ გუ-  
ლაბს.

გვარიანად რომ შეისვენეს, ღობის მშე-  
ნებლები საქმეს მიუბრუნდნენ: ჯერ ცემენ-  
ტი და ქვიშა აურიეს მშრალად. მერე წყალი

მიუმარჯვეს და როცა ბეტონი მზად იყო, მიუშობა მაშინ გაჩაღდა. ვინ ბეტონის ხსნარით ვედროებს ავსებდა, ვინ — ეზიდებოდა, ვინ — საძირკველში ასხამდა, ვის მსხვილი ქვები მოჰქონდა და ხსნარში უმარჯვედა გამომზომილად, ვინ კიდევ რკინის კეტიტ ბეტონს ათანაბრებდა და ტკეპნიდა.

— აბა, მარდად, ბეტონი არ გავახმობთ! — იძახდა თედო და წყვილ ვედროს ეზიდებოდა.

უფროსებს არც აბრია და ბუყანა ჩამორჩებოდნენ. პატარა ვედრო ეშოვნათ და მკლავებდაძარგულნი ერთად მიაცუსცუხებდნენ საძირკველში ჩასასხმელად; მომცრო ქვებს თამამად ეროდნენ და ბლომად უმატებდნენ საძირკველში.

— ოქრობიჭებო, გაშრა ყელი, გაშრა! — დაიყვირებდა რომელიმე მშენებელი და ხან აბრია გაენტებოდა კოკურით წყაროზე, ხან ბუყანა.

ქუჩის მხრიდან კარგა სიგრძეზე საძირკველი მიწის პირამდე მოჰყარეს. ყოველ ორ მეტრზე ბეტონის სარეზო ჩაატანეს და კახური წყობა დაიწყეს. ბუყანას მამა კალატოზობდა. რიყის ქვებს მოხდენილად არგებდა ერთმანეთს და მივივით ლობე გამომჰყავდა.

— ქვა მოვიდეს, ქვა! — იძახდა კალატოზი, — ხსნარი მოვიდეს, ხსნარი! — და დამხმარე მუშები არც ერთს უგვიანებდნენ, არც მეორეს. პატარა მშენებლებიც იქვე ტრიალებდნენ და საგულდაგულოდ არჩეულ ქვებს უმარჯვებდნენ.

სადილობა ისე წამოეპარათ, ვერც კი გაიგეს. უფროსებმა ხელმირი დაიბანეს და ვანუა ნათეაგებით თავის სახლში შევიდა, თედომ მიგობრივით თავის სახლს მიაშურა.

ახლად დაწყებულ ღობესთან პატარა მეზობლები დარჩნენ გულმოკლულები, ყურებჩამოყრილები, კრიჭაშეკრულები. ერთმანეთს თვალს ვედარ უსწორებდნენ. რაც თავი ასხოვთ, თუ საფელში სადმე საერთო შრომა უნახავთ, სიველ-ვახშაძე ერთად გაშლილა, ერთად დამსხდარან მშრომელეუბი და პურ-ღვინო ერთად მიურთმევიათ.

ძველი მტრობა თავისას არ იშლიდა. ისევ ისე ტრიალებდა ღობის გადაღმაც და გადამოდმაც!

უფროსების საქციელით ნირნამხდარი ბალები იდგნენ და არ იცოდნენ, რა ელონათ.

მეორე ორივეს ერთდროულად დაებადა თელი აზრი, ერთმანეთს შესცინეს და შინისაკენ გაცვივდნენ.

სულ მალე ღობის ცალ მხარეს აბრია გამოჩნდა, გრძელი შოთი ამოეილღიავებინა. ცალ ხელში ჯამით ჭყინტი ღობიოს შეჭამანდი ეჭირა, მეორეში — ახალი კიტრის მწნილი. ღობის მეორე მხრიდან ბუყანა თავმობმული მათლფა ჩახოხბილი მოჰქონდა ფრთხილად. უკანვე გაბრუნდნენ. სადილს კიტრი, პამიდონი, ყველი და მწვანელი შემოამატეს, ღობინათი და პატარა ჭიქებიც მოიტანეს და სუფრა ვაშლის ჩრდილქვემ ახლად ამოყვანილ ღობეზე გაშალეს. გაზეთ-გადაფარებულზე კოხტად გაანყვეს ყველაფერი და თვითონ აქეთ-იქიდან შემონყობილ კუნძებზე ჩამოსხდნენ. მადიანად ილუქებოდნენ, დინჯად, აუჩქარებლად. ღობილით, უყვედრებლად სთავაზობდნენ ერთმანეთს საკუთარ კერძს.

მზე მალლა ასულიყო მოწმენდილ ცაზე და თანაბარი ღობილით უნაწილებდა პატარა მეზობლებს სითბოს და სინათლეს, თითქოს იცოდა — დაიზრდებოდნენ და საყვედურით არასოდეს გაიხედავდნენ ერთმანეთისკენ. უფრო მეტიც. სამეზობლო ღობეს სამეზობლო კარსაც ჩამოაბამდნენ!

შოთა ასანიშვილი



# შენი ორგანიზმი

## კანი

შენი კანი ისევე, როგორც საწვინკარი ლაბადა, სისველეს არ ატარებს. კოკისპირულ წვიმაშიც კი, თავიდან ფეხებამდე რომ გაილუმპო, შენს შინაგან ორგანოებში ერთი წვეთი წყალიც კი არ მოხვდება, პირსახოციტ შემშრალდები და ისევ მშრალი ხარ. კანი დაზიანებისგანაც იცავს შინაგან ორგანოებს — არიდებს მათ მტკივნეულ დარტყმებს, დამწვრობას, გაკანკრას; ინახავს სიცვივისაგან, სიცხისაგან. კანი ძალზე



თი საშუალებით სხეულიდან ოფლთან ერთად გამოიყოფა უსარგებლო, მავნე ნივთიერებები. კანში ბინადრობენ ცხიმის გამომყოფი ჯირკვლებიც. მათ მიერ გამოყოფილი ცხიმი გზას უღობავს მავნე მიკრობებს, არ აძლევს სხეულში შეღწევის ნებას. ყველაზე გასაოცარი კი ის არის, რომ შენგან სრულიად შეუმჩნეველად, გამუდმებით ხდება კანის გადახალისება — ძველი კანი თანდათან გადადის და ახლით იცვლება. ამასთან ერთად კანი იცავს ადამიანის ძვლებს და კუნთებსაც.

გამძლეა, ას ნელინაღზე მეტ ხანს თავისუფლად ძლებს. მზისაგან ფერს იცვლის—მუქდება, უფრო ყავისფერი და მკვრივი ხდება, მაგრამ მხოლოდ დროებით. ცივი ქარის შეგომებისას კანი ბუსუსებში იფარება და ცივი ნაკადს არ აძლევს საშუალებას შეაღწიოს სხეულის შიგნით.

კარე, კანი დაუყოვნებლივ გაცნობებს ამას. მაგრამ განა მხოლოდ ამას აკეთებს? კანში ათასობით პანანკინტილა საოფლე ჯირკვლია, მა-

თი, როგორი არაჩვეულებრივია შენი კანი, რომლითაც როგორც ჯავშანით, თხემიდან ტერფამდეა დაფარული შენი სხეული.



იგი ნესტს არ ისრუტავს, შაერს კი თავისუფლად ატარებს და გეხმარება სუნთქვაში, რომელიც შენი სხეულის ყოველ უჯრედს სჭირდება. ის გატყობინებს, როდის სცივა შენს სხეულს, როდის სცხელა, რა ანუხებს, რა სწვავს.. მაგალითად, თუ ბუზი დაგაჯდა ან წინჭარს გაე-





# განგაში

## წიგალი კონტინენტი

## მაყაია თინათინი

ოკეანის სანაპიროზე, გორაკებს შუა ყურად, წყნარი, კამკამა ყურე გარშემო ტყე აკრავს ნაპირთან მესახდურთა რაზმი და იცურავს ერთი კატერი ყურეს შესასვლელს იცავს, ორი კი სანაპიროს გაყოლებით მიდრმოდს და თვალყურს ადევნებს, ხღვის მზიოდან მტერი ხომ არ შემოგვარავიაო.

ყურლას უხარია, როცა მუშლიათ უფროსის მოახსენარ, საზღვარი არავის დაურღვევიაო! ყოჩაღი ბიჭები არიან. ამიტომაც მიიწვიეს კოლმეურნეებმა რაზმის მეთაური მოროზოვი კოლმეურნობაში, გვიანაც, საზღვარ როგორ დარაჯობით, ჩვენს უსაფრთხოებას როგორ იცავითო. მეთაურმა სადღესასწაულო კიტლი ჩაიკიდა, ახალი ვარსკვლავებით დამშვენებული საძირკვები გაიკეთა, მიჩმინათან ერთად „გაზიკო“ ჩაყვდა და წავიდა. მამქანა მიქრის, მეთაური ზემოდაც დაჰყურებს ყურეს და ტკბება შემომსკრივებულ ნაპებში პანია ჯაგრულეხსა გვანანს, კატერი წყალში — სათამაშო ნაეს, მაგრამ მინებ შეამჩნევს კაცი, როგორ ბრწყინავს კატერის გაკრალბელი ილუმინატორები.

უცბად მოროზოვმა მოფერს მხარში ხეული ჩაავლო:

— გაჩერდი! ზემოდან კარგად ჩანდა, რომ ყურეში, წყალქვეშ, რაღაც შავი დიდი სხეული ნაპირისაკენ მოინძევა და აქეთ-იქით ტალღებსა შლიდა.

— წყალქვეშა ნავი! — შეყვირა მიჩმინამ.

— აბა, უკან! სწრაფად! — უბრძანა მოროზოვმა მძღოლს.

— „გაზიკი“ ეზომი შევარდა. მეთაური მანქანიდან გადმოხტა: „განგაში!“ შესძახა და მტკავნირებითან მიიჭრა. გამორიან მებზღვაურები, ქურთულებს იყრავენ. მეთაური კი კატერს გასახის:

— „გამარჯვება!“ „გამარჯვება!“ — ეგ რა ნავია ყურეში? სიიდან განდა?

— რა ნავი? — კითხვებიან იქიდან.

— წყალქვეშა!

— ეგ ნავი არ არის, ამხანაგო მეთაურო! ვეშაი შემოიჭრა ყურეში.

მოროზოვი სანაპიროზე გამოვიდა და ხედავს, რომ „ნავი“ ამოტყვევდა, შადრევანი ამოშუშვა და ყურეს ნაპირზე გამოსცურა. წამფილად ვეშაიამ მაგრამ შორიდან ისე ფოლადივით უბრწყინავს გვერდით, რომ ადვილად შეიძლება კაცი შეედგას.

მებზღვაურები ნაპირთან მოცივიდნენ, ყვირიან, ყვანებენ, ქურთულებს იქნვენ: „ვეშაო!“ მებზღვაურები კი არიან, მაგრამ ყველას ხომ არ უნახავს ასეთი ვეშა ცხოველი.

იქვე მახლობლად მორაგი ამწე იდგა. იმაზეც კი აცოცდნენ, რომ მადლოდან შეეხვდათ გოლიათი ვეშაისათვის. ის კი დაეცურაბს ყურეში და მისგან მახოტილი ტალღები დაფაუნით აწყდება ნაპირს.

მოროზოვს შერცხვა, ქუდი მოხიდა და გაიცინა.

— ეს რა განგაში აგვატეხინა, დალახვროს ეშაქმა.

თქვა თუ არა ეს, ვეშაი ნაპირის შორი-ახლდ შეჩერდა და ისე დაიყო ბოლოს ქნევა, რომ წყალზე ზირთები აბალა.

— რას შერევა? — იკითხა მოროზოვმა.

— მერჩებე დაუდა! — აუხსნა მიჩმინამ. — ესღა გვალდა! — ამოიხარა მოროზოვმა. — ჩქარა კატერი!

ჩასდნენ კატერი და ვეშას მიუახლოვდნენ. ეს კი გარინდებულა, ნაღვლიანად იყურება, თითქოს ითხოვს: „მიშველეთ, ძმებო!“ შემოეხვიენენ მებზღვაურები, ფიქრობენ, რა ქნან. თუ არ უშველენ, ხომ დილუპა!

— მოქცევა დაიწყება და აიტაცებს! — თქვა ვილცამ.

— სანამ მოქცევა დაიწყებოდას, ეგ შენი ვეშაი ლორჯოს კონსერვად იქცევა! — გაუპასუხა მიჩმინამ. ყველას გაუცინა. — ცოფდა საწყალი!

— აბა, გვარლი მოიტათი! — გასცა განკარგულებად მოროზოვმა.

— სწორია! — დაეთხინმა მიჩმინამ. — ბოლოზე გამოვბათ და სიღრმეში შევატყ-

რით. მოიტანეს გვარლი, დიდი მარყუხი გააკეთეს. მიჩმინამ ზურგზე შეახტა ვეშამ, რომ მარყუხი გამოედო. შეახტა და დაცურდა მის ვეება სხეულზე, მაგრამ ხელები აიწვია და თავი შეიკავა. ვეშაი კი არ იზრდებოდა. იქნებ დაიღალა, ან ესმის კიდევ, რომ საშველად მოვიდნენ შლიეს იწინეს სველ ბოლოს. ის იყო მიჩმინამა დააპირა მარყუხი ვეშაისთვის ბოლოზე გამოედო, რომ ერთხმა მებზღვაურმა, ყოფილმა ხვრომ, შესძახა:

— დაიცით, აგრე შეიძლება ბოლო მოგვანყვიოთ. ქვეშ რაღაც უნდა დააუტყანთი!

რამდენიმე მესახდურემ მანქანის ძვლი საზღვარი მოიტანა, წყალში ჩაიხრია და ვეშას ქუდქვეშ ამოუდგეს, ზემოდან კი მარყუხი ჩამოავტეს, მაგრამ ის იყო მოროზოვმა მანქანადაც გასცა კატერი დაძრულიყო, რომ იმავე მებზღვაურმა, ვეშაის ბოლოზე რომ წყალში

— დაიცით, ძმებო, იგრე შეიძლება ქვეზე მუცელი გაოფაროს, ქვემოდან მორიდან ამოედოთ საგრაკეტივით და იმაზე გადმოგატეხებთ.

დიდი სადავიდარაბო კი იყო ეს, მაგრამ მებზღვაური მართალს ამბობდა.

ნაპირზე მორები მოძებნეს, ჩააყურყუმენლავეს, ვეშაის ბოლოს მიუშარჯვეს და ხელებით დაიმარგეს, რომ ზემოთ არ ამოცურებულყო.

— მზად არის? — იყვირა მოროზოვმა. — აბა, უკან!

კატერი დაიძრა, გვარლი დაიჭიმა და ვეშაი გაათრია. მებზღვაურები გვერდით მიჰყვებიან, ვეშას ხელებს უტყაპუნებენ გვერდებზე: „მიდი, კამალოტო!“ მიჩმინამ კი ზურგზე ადგას და ბრძანებებს იძლევა: „საშუ მარცხნივ! საშუ მარჯვნივ!“

იგრანო თუ არა სიღრმე, ვეშაი შეინძრა. მიჩმინამ კი აყურდა:


— მოიცადეთი! გარედი, თორემ ოკეანეში შემოთუვს და ეგ არის!

მიჩმინამ კატერიდან თოკი გადმოუდგეს, გებანზე აიყვანეს, მერე კი მარყუხი ნელ-ნელა მოუშვეს.

გამოძრა ვეშაი მარყუხიდან და პერი, ღია ზღვაში.

მიცურავს, და აქეთ-იქით, წყალქვეშა ნავით, ტალღებს შლის. მებზღვაურები ქურთულებს უწევენ და ყვირიან:

— ჰეი, ძმობილო, არ დაგვივიწყო კიდევ გვენევი არავინს გაგვიტყვიეთ!



მაყაია თინათინი



# ◦ სათვარე ◦

ბები, როგორ დავიჯერო,  
რომ სათვარე კარგია,  
იმ დღეს ვცადე, გავიკეთე,  
სულ ზედმეტი ბარგია.  
ველარც ფისო დავინახე,  
ველარც ჩვენი თემური.  
სათვარეა, ხელს რომ გიშდის,  
შენ კი თვალებს ემდური.  
გახსოვს, გუშინ, ჩემო ბები,  
მთელი დღე რომ მაწვავდე?  
თურმე ცხვირზე გეკეთა და  
მაძებინე სათვარე.



ნოდარ ლუმაბაძე


# ★ ბაბაღი ★

როცა ავად ვიყავი,  
ვსვი და გყდაზე წამალი,  
და დეიკომ საჩუქრად  
მომიყვანა მამაღი.  
ერთხელ ძია გვესტუმრა,  
ბაბუამ თქვა:--რა ვქნათო?  
ბებოამ თქვა:--საწრაფოდ  
მამდაყინწა დავკლათო.  
ჰოდა, ეს რომ დავიგე,  
მამაღს ხელი დავავდე  
და ბებოას უჩუმრად  
კარაღაში დავმადე.  
მერე იცით, რა მოხდა?...  
ბებომ შიშით იკივლა...  
იმ სულელმა მამაღმა  
კარაღაში იყივლა.



# ღარიკოს ვფიცავარ

წერა-კითხვა ვისწავდე,  
აი, უკვე დიდი ვარ.  
არ წამიყვანთ სკოლაში?  
ბალში აღარ მივიღვარ!  
თვლა ხომ ვიცი ათამდე,  
თანაც ექვსი წლისა ვარ,  
პატარა რომ ვიყავი,  
განა ისევ ისა ვარ!  
სულ ხუთებზე ვისწავდი,  
ჩემს ღარიკოს ვფიცავარ.





# ★ მანანა და ღარი ★

მანანა  
ღარი, ღარი, ჩემო ღარი!

ღარი  
რაო, ჩემო მანანა?

მანანა  
ეს თოჯინა დედაშენმა  
ჩემთან გამოგატანა?

ღარი  
რასა ბრძანებ, ქაღბატონო?

არ გათხოვებ არასდროს  
გინდა ისევე გააკიგო.  
ისევე სურდო დამართო?

მანანა  
რადგან ასე შეუბნები.  
რადგან ასე მაჯაგრებ.  
დამიბრუნე ჩემი ვაშლი.  
მე რომ გუშინ გაჰამე!

ღარი  
არაფერიც, არაფერიც,  
არაფერსაც არ მოგცემ,  
იმ ვაშლისთვის, აღარ გახსოვს,  
ღოყაზე რომ გაკაცე?

მანანა  
მე რომ წიგნი მოგიტანე

კარგი წასაკითხავი?..

ღარი  
მერე, მე რომ მოგარჩინე,  
ექიმი რომ ვიყავი?

მანანა  
ჰო, ჰო, ჰო, ჰო, დიდი საქმე,  
სულ არ იცი თამაში,  
გახსოვს, მე რომ მოგვებმარე  
კანფეტების ჰამაში?


ღარი  
მერე, მე რომ შენს თოჯინას  
გავუკეთე ნემსები?!


მანანა  
მერე, მე რომ წაგიკითხე  
დიდი, გრძელი ლექსები?!

ღარი  
როგორც ვხედავ, ქაღბატონო,  
უმაღური ბრძანებო.

დაგავიწყდა, გუშინწინ რომ  
გამომართვი ბათები?


მანანა  
არც თოჯინა მინდა შენი,  
აღარც შენი ვაშლები;  
ბუტე, ბუტე, გაგებუტე.  
აღარ გეთამაშები!





კონანი ჩუონანი

მიმატოვა ბალიშმა,  
საბანმა და ზენარმა,  
დილით აულაგებმა,  
დილით აუკეცავმა.  
სანთელს ვეცი,  
გამექცა,  
კისრისტეხით გავარდა,  
წიგნს მივწვდი და  
წიგნებმა  
ჩამიკეტეს კარადა.



მსურდა ჩაი დამელია,  
მაგრამ მუცელგაბერილი,  
ცეცხლის ალთან ნაომარი  
დამემალა სამოვარი.  
ეს რა ხდება?  
ცერზე დგება  
სკამიცა და სარკეცა,  
ყველაფერი აირია,  
აირია-დაირია,  
ყველაფერი გამექცა.  
უთო მისდევს მაგიდას,  
მაგიდა კი ჩაიდანს,  
ჩაიდანს — ყვაფდანს,  
ყვაფდანს — კარადას.  
ყველაფერი გრიალებს,  
ყველაფერი ტრიალებს,  
ყველაფერი ირევა,

კაცი გადაირევა!!!  
პირსაბანთა მეთაური,  
კოჭლი მოიდოდირი,  
მუდამ ჩემი მომლოდინე,  
გადალილი ლოდინით,  
მიცქერის და იბღვირება,  
ილანძღება, იგინება:  
— დავიჯერო, არ გრცხვენია,  
არ გრცხვენია, ნამცეცავ,  
რომ თხუპნიას შარვალიც კი,  
შარვალიც კი გაგექცა.  
დილით ადრე კოკებით  
წყალს ისხამენ კაკბები,  
ციცქენები და ციდეები  
პირს იბანენ ცინდლები,  
პირს იბანენ ხოჭოები,  
პირს იბანენ როჭოები,  
პირს იბანენ ბაჭიები —  
მანჭიები, პრანჭიები.  
არ იბანდი მხოლოდ შენ და  
ამოგანგლულს, ამოსვრილს,  
გაგეპარა საძილედან  
სანოლიც და სამოსიც.  
დაიბანე...  
დამიჯერე,  
არ მოვუხმო ჯაგრისებს,  
თორემ უცხად დაგიჭერენ,  
ავინავლებ თავ-კისერს;  
ინივლევენ, იკივლევენ,  
იყვირებენ, იგრგვინებენ,




ამოგანგლულს რომ განხავენ,  
გაგლანძღავენ, გაგათახავენ,  
შენს ხევენას და მუდარას



ყურს აღარ დაუგდებენ,  
ქვაბში ჩაგაყუდებენ,  
თავით ჩაგაყუდებენ.  
არ ვუსმენდი...  
გაჯავრდა და  
გაჯავრება არ დაფარა,  
დაიძახა: — კარა-ბარას!  
კარა-ბარას!!  
კარა-ბარას!!!  
და მაშინვე ჯაგრისებმა —  
თავმყერილმა სადგისებმა,  
დამიჭირეს... დამიჯერეთ,  
ტანზე კანი ამიჭრელეს.  
მე ვბრაზობ და ვიღრინები,  
ისინი კი დიღინებენ.  
ჰა, სამომხაც დრო იხელთა,  
ქაფით თმები გამითეთრა.  
მხეხავს ხრალი,  
ყვირის ხრალი:  
— წყალი! წყალი!  
წყალი! წყალი!  
მარტომდმარტო დამიგულა,

იკბინება ხრალი მგლურად;  
გაოქცევი...  
დამედენა...  
წავიქევი...  
დამენია,  
არ დამინდო ცეროდენა,  
ზურგით კალო მალენია.  
უცბად ბრძენი, მეომარი,  
ჩემი შმა და მეგობარი  
მომეშველა ნიანგი,  
სწორი გითხრათ, ივარგა,  
გადაყლაპა ხრალი და  
მე დამადგა თვალი, და...  
ისე დამიდრიალა,



შეცრად,  
ცაში ელვამ იალა,  
შეცრად.  
— შინ წადიო ახლავე, —  
მიყვირა,  
— ვიდრე სხვებიც გნახვენ,—  
მიყვირა,  
— დაიბანე სახეო, —  
მიყვირა,  
— თუ კვლავ ასე გნახეო, —  
მიყვირა,  
— დააბრალე თავსაო, —  
მიყვირა,  
— ვფიცავ, გადაგსანსლავო,  
მიყვირა.  
დავუბრუნდი მოიოდორს  
სირბილით,  
და გავწითლდი,  
როგორც მამლის ბიბილო,  
საპნით, საპნით,  
ქაფით, ქაფით  
გავისაპნე, გავიქაფე,  
მოვიცილე ტალახი,  
მოვიცილე მელანი,


თმა სავარცხლით  
დავივარცხნე,  
გავაოცე ყველანი.  
შემშვება შარვალი,  
შემირიგდა შარვალი,  
სულ შორი-შორს მავალი,  
შარიშურით მავალი.  
გემრიელი ქადა  
პირში ჩამივარდა.  
მეუბნება ბუტერბროდი:  
— აღარ გაგებუტებოდი,  
როცა კარში გადიოდი,  
როცა სახლში ბრუნდებოდი,  
ასე სუფთად რომ გვევლო,  
თავისთვის რომ მოგვევლო.  
წიგნებმა და რვეულებმა  
გადიხადეს წვეულება,  
გამოაღეს კარადა.  
შემოსძახეს „ვარადა“,  
და დამნიშნეს თამადად.  
პირსაბანთა მეთაური,

ბრძენი მოიოდორი,  
გადაღლილი ლოდინი,  
ცას ეწია: — გაიხარე,  
ახლა მართლა კარგი ხარო,  
ახლა მართლა ვარგისარო,  
არსად დასაკარგი ხარო.

პირი უნდა დავიბანოთ  
ყოველ დილა-სალამოს...  
იცურავე?  
გამოს!  
იბანავე?  
გამოს!  
ჭუპა-ჭუპა, ვიჭყუმპალოთ,  
ვიყვინთათო, ვიცურათო,  
ვიბანათო ზღვაში, ტბაში,  
ლეღეში და ლაგანაში,  
შეგვიყვარებს მზეც და  
მთვარეც,  
თუ დავიცავთ სისუფთავს.

\* \* \*

წისქვილს რომ აბრუნებს,  
ყანას რომ აპურებს,  
მწყურვალს რომ არწყულებს,  
მინას რომ რწყავს,  
დი დება წყალს!



თარგმნა

ვაჟა შუბუნიძე

ერთ დღეს გულთამის ბებია იფინიდან შორეთს გა-  
ბედა და ჩაილაპარაკა:

შვილი წვიმა მოდის. კარგია. ჩვენი ხეხილი ძლო-  
მისად დარწყულდება.

— რა? წვიმა მოდის? აბა, დამანახვე! — გულთამმა  
სკამი მოიტანა, წედ შედგა და საითაც ბებია იყურებო-  
და, იქით ჩააშტერდა ხივრცეს. კარგახანს იყურა, მაგ-  
რამ ვერაფერი ვერ დაინახა. ან რა უნდა დაენახა, წვიმა  
კაცი ხომ არ იყო, მოსულიყო? არადა, ბებიაშ რომ  
თქვა, მოდისო...

— ბებო, სად არის წვიმა? მე ვერაფერსაც ვერ ვხე-  
დავ!..

— როგორ თუ ვერ ხედავ... აბა, კარგად დააკვირდი.  
შთხ რომ ის უზარმაზარი შავი ღრუბელი გადაჰფარე-  
ბია, იმას ხედავ?

— ვხედავ.


— აი, ეგ არის წვიმა. ახლა მთებში წვიმს. ცოტა  
ხნის შემდეგ კი წვიმა წამოვა და ამ ჩვენს სოფელსაც  
მოადწევს. ერთი კაი გულიანი თქეში ჩვენს ბაღ-ბოს-  
ტანს სულს ჩაუდგამს.

გულთამი პატარა იყო, ჭერ კიდევ არ იცოდა, რომ  
როცა წყალი ორთქლდება, ჭერ ცაში ადის, იქ, ცივ მა-  
ერზე, ღრუბლად იქცევა. მერე რამდენიმე ასეთი ღრუ-  
ბელი ერთდება, მძიმდება და ბოლოს წვიმად წამოვა.

უყურე შენა, თურმე რა არ ხდება ქვეყანაზე.

### აზიზა ასმელოვა

აზერბაიჯანულიდან თარგმნა  
ზემზა მედულაშვილიმ



# სოკოები

გაზაფხულის წვიმების შემდეგ ტყეში ათასნაირმა სოკომ ამოყო თავი. ზოგს წითელი ქოლგა ეხურა, ზოგს ყვითელი, ზოგს დაწინწკლული და ზოგსაც — ტალღოვანი. ყველა თავისი ქოლგით იწონებდა თავს.

უცბად ქარი ამოვარდა და ისევ წამოწვიმა. ხეები ირხეოდნენ და იზნიქებოდნენ. ერთი პატარა ბარტყი ბუდიდან გადმოვარდა და სოკოებს შორის ჩავცა. სიცივით ძაგძაგებდა საწყალი... მაგრამ ყურადღებას არავინ აქცევდა.

— ჩემთან მოდი, პატარავ, ჩქარა, ჩქარა! — დაუძახა ამ დროს ერთმა უბრალო, თეთრქოლგაიანმა სოკომ. ბარტყმა ძალა მოიკრიბა და წვალებით მისკუპსკუპდა მასთან. სოკომ ცაში აიხედა, მერე თვალები დახუჭა, დაეჭიდა თავის ქუდს და თავი-ხან და მოიძრო. ოხვრა აღმოხდა, მაგრამ თავი შეიკავა, სასწრაფოდ დაახურა ქოლგა გალუმპულ ბარტყს და გაუღიმა. თეთრი და მსუბუქი ქუდის ქვეშ ჩათბუნდა ბარტყი და ჩაიძინა. თეთრი სოკო კი უქოლგოდ დარჩა.

ამასობაში წვიმამ გადაიღო. ბარტყმა ქოლგის ქვეშედან ნისკარტი გამოყო, დედაჩიტმა თვალი მოკრა, ქოლგა გადაადრო და გულში ჩაიხუტა.

— დედი, — უთხრა ბარტყმა, — ამ სოკომ თავიდან



ქუდი მოიგლიჯა და მე დამაფარა.

— სისულელეა! — გაბრაზდა დედაჩიტი, — თავიდან ქუდს ვინ მოიძრობს სხვისი გულისთვის, პატარა ხარ და არ გესმის: სხვისი გულისთ-

ვის არავინ არ დაიტანჯება. ალბათ ისედაც მომძვრალი პუნონა ეგ ქოლგა... ან ეგებ სულაც არ არის სოკო და ეგ ქოლგა სულაც არ არის მაგისი.

— სწორია! სწორი! — ეგ სოკო კი არა, ჯოხია! — ატეხეს სიცილი სოკოებმა.

— არ არის ჯოხი, სოკოა, და თავისი ქოლგა მოიძრო, მე ვიცი, რომ ეტყინა, — ჩაიჩურჩულა ბარტყმა და თვალები ცრემლით ავესო.

— სულელი, — ჩაიცინა დედაჩიტმა, ბარტყს თავში ფრთა ნაჰკრა, მერე კი მოეხვია და ბუდისაკენ გააფრინა.

თეთრქოლგაიანი, უფრო სწორად — ოდესღაც თეთრქოლგაიანი, ახლა კი უქოლგო სოკო ჩუმად იდგა და ცრემლები ლაპალპებით ჩამოსდიოდა. ამ დროს მზე ამოვიდა. მზის სხივებმა დაბურულ ტოტებში ჩაიჭყვიტეს, მერე გაძვინდნენ გამომძვინდნენ, სოკოებამდე ჩააშუქეს და ნანვიმარი მიწა გაანათეს. მერე კი, შოი საოცრებავ, გარს შემოეხვივნენ უქოლგო სოკოს, შემოენდნენ, უღამაზეს ფერად მაქმანებდად შემოექსოვნენ და არნახული სიღამაზის გვირგვინი დაადგეს თავზე. გვირგვინის შუქმა მთელი ტყე გაანათა და გაათბო.

— დედოფალი! სოკოების დედოფალი! — ისმოდა ტყეში.

გვირგვინოსანი სოკო კი იდგა და შუქს აფრქვედა.

თქოზე წამოწოლილი არ-  
ხეინად ვენებოვრობ.

ვერ მიპოვეს. ნიშნის მო-  
გებით ვიცინი.

ლამით ცოტა არ იყოს შე-  
მცირდა. დაეხუჭე თვალები  
და წაუფლიმე. ნეტა არ და-  
მეძინა! ჩვენი სამზარეულო  
დამესიზმრა. ვითომ, სადი-  
ლის მოლოდინში, მშვიდი  
ბავშვები მაგიდას შემოსხ-  
დომოდნენ. დიასახლისი ცა-  
რიელ ქვაბებს უტრიალებდა.  
იქვე სანოვავე დაეხვავებინა,  
მაგრამ უჩემოდ რას გაან-  
ყობდა?

— სადა ხარ, ჩემო მოამაგე  
დანავ, უშენოდ სადილი რო-  
გორ გავაკეთო? ბავშვები  
მშვირები მყავს, რა მეშვე-  
ლება? — იძახდა დაღონებუ-  
ლი.

— აქა ვარ! — წამოვიყვირე  
და გამომვლვიძა... წამოდგო-  
მას ვცდილობ, რა წამომაყე-  
ნებს! ნესტიან მიწას ჩაე-  
კვრივარ, ვგრძნობ, რომ თან-  
დათან გულზე ჟანგი მეკიდე-  
ბა და ალბათ ეს ჟანგი შემ-  
ჭამს კიდევ.

— აფსუს, რა ბედნიერი  
ვიყავ თბილ სამზარეულოში  
ცეცხლივით რომ ვტრიალებ-  
დი! — ვფიქრობ სინანულით.  
გათენდა.  
მზემ ცოტა გამათბო,

მაინც ვერ ვინძრევი, გვერ-  
დები მაქვს გათანგული, მო-  
ძრაობა — დაკარგული.

ჩემს ახლოს ვილაცამ გაი-  
არა.

— მიშველეთ, მიშველეთ,  
აქა ვარ, — მინდა დავუძახო,  
ხმას ვერ ვიღებ. ჟანგს დაუ-  
ფარავს ჩემი ლაპლაპა პირი.

რამდენ ხანს ვეგდე ასე, არ  
ვიცი.

ერთხელაც იმედგადაწყვე-  
ტილი რომ დავტრიოდი  
ჩემს ყოფას, ვწყვედიდი სი-  
ზარმაცეს, რამაც ასეთ დღე-  
ში ჩამაგდო, მოულოდნე-  
ლად მიპოვეს! სულ შემთხვე-  
ვით მიპოვეს! თამაშის დროს  
ისევე ბავშვებმა შემამჩნიეს და  
დიდი ზემოთ თავიანთ დე-  
დასთან მიმამბრძანეს.

ვენაცვალე ჩემი დიასახლი-  
სის მარჯვენას, ხან ძმარში  
ჩამაგდო, ხან ზეთში, ჟანგი  
ამაფხიკა, გამწმინდა და ისევ  
გამაპარიალა.


— ვაშაა... — ვიცინი, მიხა-  
რია, რომ დავბრუნდი, მიხა-  
რია, რომ ისევ შევძლებ მუ-  
შაობას, რომ კიდევ გამოგად-  
გებით და გემრიელ სადი-  
ლებს დაგიმზადებთ. აღარა-  
სოდეს აღარ დაგიჩივლებ,  
ოღონდ ნუ მიმატოვებთ.

# რა ბჭპია შუნ?

- ვასილ—სამეფო, მე-  
ფისა.
- ვიქტორ—გამარჯვე-  
ბული.
- ვლადიმერ, ლა-  
დო—ქვეყნის მფ-  
ლობელი.
- ზაალ — თმათფერი  
მოხუცი.
- ზაზა—ძლიერი მო-  
ხუცი.
- ზაქარია—დაუვიწყა-  
რი.
- ზვიად—ამაყი.
- ზურაბ — წითლად  
მოვლფარე.
- თამაზი — ძლიერი  
ცხენი.
- თეიმურაზ — ძლიე-  
რი.
- თემურ—რკინა.
- თენგიზ—ზღვა.
- იაკობ — მიმყოლი,  
მიმღევიარი.
- იასონ—მკურნალი.
- ივანე—წყალობა.
- ილარიონ — მხიარუ-  
ლი.
- ილია—მზიანი.
- იონა—მტრელი.
- იური—იგივეა. რაც  
გიორგი — მიწათ-  
მოქმელი.
- კონსტანტინე,  
კოტე—მტიციეს,  
ურყვევის შვილი.
- ლუარსაბ — ქურანა  
ცხენზე მჯდომი,  
წაბლაცხენიანი.
- მალხაზ — ცქვიტი,  
კობტა. ლამაზი.

ზურაბ პუშპურიძე

17105





ერთ დღეს გულთამის ბებია იაინიდან შორეთს გახედა და ჩაილაპარაკა:

— მკონი წვიმა მოდის. კარგია. ჩვენი ხეხილი ძლიშინად დარწყულდება.

— რა? წვიმა მოდის? აბა, დამანახვე! — გულთამმა სკამი მოიტანა, ზედ შედგა და საითაც ბებია იუურებოდა, იქით ჩააშტერდა სივრცეს. კარგახანს იუურა, მაგრამ ვერაფერი ვერ დაინახა. ან რა უნდა დაენახა, წვიმა კაცი ხომ არ იყო, მოსულიყო? არადა, ბებია მის თქვა, მოდისო...

— ბებო, სად არის წვიმა? მე ვერაფერსაც ვერ ვხედავ!

— როგორ თუ ვერ ხედავ... აბა, კარგად დააკვირდი. მთხს რომ ის უზარმაზარი შავი ღრუბელი გალაჭყარებია, იმას ხედავ?

— ვხედავ.

— აი, ეგ არის წვიმა. ახლა მთებში წვიმს. ცოტახნის შემდეგ კი წვიმა წამოვა და ამ ჩვენს სოფელსაც მოაღწევს. ერთი კაი გულიანი თქეში ჩვენს ბაღ-ბოსტანს სულს ჩაუღვამს.

გულთამი პატარა იყო, ჭერ კიდევ არ იცოდა, რომ როცა წყალი ორთქლდება, ჭერ ცაში ადის, იქ, ცივ მანერზე, ღრუბლად იქცევა, მერე რამდენიმე ასეთი ღრუბელი ერთდება, მძიმდება და ბოლოს წვიმად წამოვა.

უყურე შენა, თურმე რა არ ხდება ქვეყანაზე.

### აზიზა ახმედოვა

აზერბაიჯანულიდან თარგმნა  
ზეზვა მელულაშვილი



# ჩინური პარკები

მინის პატარა ბოთლი



ინათლის სხივი ფანჯარაში შემოიჭრა და პატარა ბოთლს დაეცა. შუშა უეცრად აბრჭყვილდა

ლის სხივმა ნელნელა გადინაცვლა და ჩვენი შუშა ჩრდილში აღმოჩნდა. მან ტრიაბახი შეწყვიტა, ხმა ჩა-

## ლოკოკინა



ეტად ფრთხილი იყო ლოკოკინა. ვიდრე ადგილიდან დაიძვროდა, ნიჟარიდან თავს გამოყოფდა, რქებს გამოსწევდა,

ირველივ მყოფ საგნებს მოსინჯავდა და მხოლოდ ამის შემდეგ ნელა, ძლივს შესამჩნევად გაცოცდებოდა. ირველივ თუ რამეს შეამჩნევდა, იმ ნუთმივე ნიჟარაში ჩაიმალებოდა. მისი აზრით, თუ თვითონ საშიშროებას ვერ ხედავდა, ეს საშიშროება სრულიადაც არ არსებობდა, და შეუძლოდ დამშვიდებით ეცხოვრა.

ლოკოკინა კმაყოფილი იყო თავისი პატარა სამყაროთი, თავისი ნიჟარით.

ერთხელ იგი მდინარის პირას სეირნობდა. უეცრად იხვი დაინახა, სწრა-



ფად ჩაძვრა ნიჟარაში და დამშვიდდა: ახლა თავი უვნებელი ეგონა! მაგრამ სწორედ იმ დროს, როცა უდარდელად იჯდა თავის ნაჭუჭში, იხვმა ნისკარტი გააღო და ლოკოკინა თავისი ნიჟარიანად გადაყლაპა.

— საბრალო საგნები!

რა აზრი აქვს სიცოცხლეს, თუ არ ბრწყინავ და არ კაშკაშებ?

მაგრამ სამწუხაროდ, ყოველგვარი სისაზრული ადრე თუ გვიან მაინც თავდება.

როცა პატარა ბოთლი ამ სიტყვებს ამბობდა, სინათ-



ვიმინდა. ირველივ კი სიცოილი ატყდა:

— მეგობარო, რატომ აღარ ბრჭყვიალე? აბა, ერთი ახლაც აკიაფდი!

## თხა და ჯიქი



იქმა მინდორში თხა დაიჭირა.

— ცოცხალს გაგიშვებ, თუ სამ სიმართლეს მეტყვი... აბა, დაიწყე!

თხამ დაიწყო:

— მე თუ შინ დავბრუნდი და ვთქვი, ჯიქმა დამიჭირა და ცოცხალი გამიშვი-მეთქი, ვეჭვობ, ვინმემ დამიჯეროს.

— მართალია! — დაეთანხმა ჯიქი, — განაგრძე.

თხამ დანაგრძო:

— შენ რომ შინ დავბრუნდები, თუ იტყვი, თითქოს იმიტომ გამიშვი ცოცხალი, რომ სიმართლე გითხარი, ამასაც არავინ დაგიჯერებს.

— სრული ჭკმარიტებაა. აბა, თქვი უკანასკნელი. და თხამაც არ დააყოვნა:

— ჩემო უფროსო ძმავო, გეტყობა მაძლარი ხარ,

თორემ ამდენს არ მალაპარაკებდი.

— ეგეც მართალია, — უთხრა ჯიქმა, — პირობა შეასრულა და თხა ცოცხალი გაუშვა.





# ს ა ნ თ ა

## ჩ ა ნ თ ა

### გიორგი შარბეთელი

- ამ ჩემს ჩანთაში ბუდე აქვთ ცხოველებსა და ჩიტებს,
- ვგ შენი ჩანთა, როგორც ჩანს მთელს ჩვენს ზოოპარკს იტევს.
- შიგ ზოოპარკი კი არა, „ზოოლოგია“ მიღვეს!

## შ ა ნ ა რ ა

ჯერ მეოთხე მუსიკალურ ბგერას მეტყვი სწრფად; არც ზღაპრული ცხენის პოვნას უნდა დიდი ჯაფა,— მისი ბოლო მარცვლის გარდა შეაერთებ მერე, და თოვლივით გადაპენტავს მწვანე მთებს და ველებს.

შოთა შოთაძე

## ა ნ ა ჯ ა ნ ა

ვითომ ახლოა, იმ მინდვრის ბოლოში არის ვითომ, მაგრამ რაც ახლოს მიდინხარ, უფრო გშორდება თვითონ!

გუზან რუსანიძე

## ა ნ ა ბ რ ა მ ა

კინო—	ლომი—
ირემი—	მელა—
დოლი—	ქორი—
თივა—	ოთხი—

საბავშვო ჟურნალი  
საბავშვო ჟურნალი  
საბავშვო ჟურნალი  
საბავშვო ჟურნალი  
საბავშვო ჟურნალი  
საბავშვო ჟურნალი  
საბავშვო ჟურნალი  
საბავშვო ჟურნალი

ყლაზე ნახატი რევაზ ცუცქერიძისა

### მთავარი რედაქტორი გუზან რუსანიძე

სარედაქციო კოლეგია: ელზაბე ავალიანი, ილია ანთაძე, კაპრიტ გომიანი, სოლომონ დ. შარბეთელი, ლილია ვარა, ზურაბ ლეჟანაშვილი (კაპ. მღვიანა), მანანა კობახიძე, გელა ლოსხაძე. რიმა, მავალა ვრეხლიანი, ჯურჯა ნაღვიანი, გიორგი გომიანი (სახბავშვო რედაქტორი), ვიკი მანაძე, მერი წიკლაური, ვიკი ვივიანი.

ტექნიკური რედაქტორი ენდი წერეთელი

მისამართი: რედაქციის, გამომცემლის, საშპს — თბილისი, ლენინის, 14. ტელ: ში. რედაქტორის — 93-41-30, 93-98-15; კ/შ. მთვინის — 93-41-30, 93-98-18; საშ. რედაქტორის — 93-98-18; გარეკ. 93-10-32, 93-98-19; 93-98-16.

გაზეთის ასაწილებლად 15/III-82 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 30/IV-82 წ., ქალაქის ზომა 60x90/ ფიხ. ნაბ. ფურც. 25, ტირაჟი 168.000. შეჯ. № 688. „Дилა“ № 5, журнал для младшеклассников, на грузинском языке. Главный редактор М. Мачавариანი. Тбилиси, ул. Ленина, 14. Цена 20 ლ.

გამომცემის  
სა-ე წილი  
საქ. კვ. ც-ის  
გამომცემლობა  
Издательство  
ЦК КП Грузии